სამხრეთი ამერიკის ბუნებრივი ზონები

სავარჯიშოები

მაია ბლიაძე

N1. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ სამხრეთ ამერიკის კონტინენტს სამხრეთ განედის 37-ე პარალელის გასწვრივ გადაკვეთ და ჟიულ ვერნის რომანის "კაპიტან გრანტის შვილები" გმირების მარშრუტს მიჰყვებით. სამხრეთ ამერიკის რუკების გამოყენებით დაადგინეთ, რომელი ბუნებრივი ზონების გავლა მოგიწევთ და მოკლედ აღწერეთ ისინი?

N2. დაასათაურე რუკა და გაშიფრე ლეგენდა: თითოეული ფერის აღმნიშვნელ ნიშანს გაუკეთე შესაბამისი წარწერა



N3. სამხრეთ ამერიკის თემატური რუკების (ფიზიკური, ბუნებრივი ზონების, სასარგებლო წიაღისეული) და პრეზენტაციის „სამხრეთ ამერიკის ბუნებრივი ზონები“ გამოყენებით შეავსეთ ცხრილი:

ბუნებრივი ზონის დასახელება	გეოგრაფიული მდებარეობა	ფლორა (ენდემური სახეობები)	ფაუნა (ენდემური სახეობები)	ნიადაგი	სასარგებლო წიაღისეული
სელვა (ჰილეა)					
ლიანოსი (კაპოსი)					
პამპა					
პატაგონია					
ზომიერი სარტყლის ტყეები (ჰემიჰილეა)					

პასუხები:

N1. სამხრეთ განედის 37-ე პარალელის გაყოლებით პატაგონიის გავლით ანდებში აღმოჩნდებით. ჯერ მოგზაურობა პამპაში მოგიწევთ. პამპასთვის დამახასიათებელია ბალახეული მცენარეულობა. პამპასების ფაუნა მდიდარია მღრღნელებით, გვხვდება პამპას ირემი, პამპას კატა, პუმა და სირაქლემა ნანდუ. შემდეგ მოგიწევთ უდაბნოებისა და ნახევარუდაბნოების ზონაში მოგზაურობა, სადაც გავრცელებულია კაქტუსებისა და აკაციის მეჩხერი ტყეები. შემდეგ, უნდა გადალახოთ მთები, სადაც ჰაერის ტემპერატურა მკვეთრად ეცემა და მცენარეებისა და ცხოველების რაოდენობაც მცირდება. შემდეგ გაივლით მშრალი ფოთლოვანი ტყეებისა და ბუჩქნარების ზონას, სადაც იზრდება მაგნოლია და თაფლის პალმა.

„კაპიტან გრანტის შვილები“ მოგზაურობის მარშრუტი .....



N2.



პირობითი ნიშნები

- ტენიანი ეკვატორული ტყეები (სელვა)
- სავანები და მეჩხერი ტყეები (ლიანოსი)
- პამპა ანუ სტეპები
- უდაბნოები და ნახევარუდაბნოები
- სიმაღლებრივი სარტყლურობა

N3.

ბუნებრივი ზონის დასახელება	გეოგრაფიული მდებარეობა	ფლორა (ენდემური სახეობები)	ფაუნა (ენდემური სახეობები)	ნიადაგი	სასარგებლო წიაღისეული
სელვა (ჰილეა)	ამაზონის დაბლობი (ეკვატორის ორივე მხარეს)	ფიკუსი, სეიბა, ნესვის ხე, გვიმრები, კაუჩუკის ხე - ჰევეა, შოკოლადის (კაკაო) ხე, წითელი ხე, მატყლის ხე, ლიანები, ორქიდეების მრავალი სახეობა	იაგუარი, ანაკონდა, კოლიბრი, მაიმუნები, პირანია, ტაპირი, ზარმაცა, კაპიბარა, ტუკანი, მწერები, მათ შორის განსაკუთრებით გავრცელებულია ტერმიტები და ჭიანჭველები	ფერალიტური (ტენიანი)	ნავთობი, ბუნებრივი აირი, ალუმინი
ლიანოსი (კამპოსი)	ორონოკოს დაბლობი ბრაზილიის ზეგანი გვიანის ზეგანი (ეკვატორული ტყეების ჩრდილოეთით და სამხრეთით)	პალმა, კებრაჩო, მიმოზა, აკაცია, ბოთლა ხე, არაუკარიები, სხვადასხვა სახის ბალახები,	სირაქლემა ნანდუ, პუმა, ჭიანჭველაჭამია, ჯავშნოსანი, იაგუარი, ირემი, პეკარი, ბევრია მალარიის კოღოები.	ფერალიტური (მშრალი), გამონაკლისია მხოლოდ ბრაზილიის მთიანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი, სადაც ტენიანობა მაღალია და ნიადაგებიც ნაყოფიერია	ნავთობი, ნახშირი, რკინის მადანი, კალა, ალმასი
პამპა	ლა-პლატის დაბლობი	პამპის ბალახი, წივანა, თივაქასრა და სხვ.	პამპის ირემი, პამპის კატა, ლამა, გუანკო, სირაქლემა ნანდუ	შავმიწა	ურანი, ვოლფრამი
პატაგონია	უდაბნო ატაკამა და მის ირგვლივ არსებული პლატოები და დაბლობები	კაქტუსები, პალმები	მღრღნელები, მაგელანის ძაღლი, სკუნსი	ნაცრისფერი	ნავთობი, ბუნებრივი აირი, რკინის მადანი, იოდი
ზომიერი სარტყლის ტყეები (ჰემიჰილეა)	ანდების მთისწინები	ბამბუკი, გვიმრები, ჩილეს კიპაროსები, არაუკარია	ლამა, სათვალიანი დათვი, შინშილა	ტყის ყავისფერი	ნავთობი, ბუნებრივი აირი, ნახშირი